15/08/2025

MES 6 25 0000986821

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 01.08.2025
სხდომის დაწყების დრო: 11:00 სთ
სხდომის დასრულების დრო: 18:00 სთ
საბჭოს თავმჯდომარე: ლევან შავაძე
საბჭოს მდივანი: ვაჟა კელიხაშვილი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 27[2] მუხლის მე-13 პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.
საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:
1. ლევან შავაძე - სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარულ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი - **საბჭოს თავმჯდომარე;**
2. ქეთევან აფთარაშვილი - შპს - აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის განათლების მეცნიერებების ფაკულტეტის დეკანი - **საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;**
3. ვაჟა კელიხაშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მენეჯერი - **საბჭოს მდივანი;**
4. ნარგულ ასანიძე - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტექნოლოგიური ფაკულტეტის აგროეკოლოგიისა და სატყეო საქმის დარგობრივი დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი;
5. ნათია იორდანიშვილი - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ - ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის მოადგილე;
6. თეა მჭედლური - შპს ,,უნივერსიტეტი ალტერბრიჯის" ხარისხის სამსახურის კონსულტანტი;

7. ვლადიმერ ადეიშვილი - სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სწავლების მეთოდიკათა დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი, პედაგოგიური ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
8. ციური დურული - სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის პროფესორი, სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი;
9. ქეთევან ნანობაშვილი - შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი, ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანი;
10. დავით კაპანაძე - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის უფროსი, ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის პროფესორი;
11. მაქსიმ იავიჩი - შპს კავკასიის უნივერისტეტის პროფესორი, კიბერუსაფრთხოების ცენტრის ხელმძღვანელი;
12. თამარ ზარანდია - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, იურიდიული ფაკულტეტის დეკანი;
13. მზია წიკლაური - შპს - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლის ასოცირებული პროფესორი;
14. ელიზბარ ელიზბარაშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების და ბიოტექნოლოგიის სკოლის დეკანი;
15. ბონდო გასვიანი - შპს - საქართველოს ეროვნული უნივერისტეტი სეუს ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;
16. ირინა ლობჟანიძე - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ლინგვისტურ კვლევათა ინსტიტუტის დირექტორი, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ენისა და ლიტერატურის მიმართულებით პროფესორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომ ადგენლები:

1. **ქეთევან ინანაშვილი -** უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;
2. **ედვინი სირბილაძე -** უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

სსიპ- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

1. **ივანე ჯაგოდნიშვილი** - სტუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;
2. **ხათუნა მხეიძე** - სტუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე;
3. **ედიშერ კვესიტაძე** - სტუ-ის აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის დეკანი;
4. **ნინო ლომიძე** - სტუ-ის აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;
5. **აკაკი გუნცაძე** - სტუ-ის აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის მენეჯერი;
6. **ლევან ციცქიშვილი** - „ვეტერინარიის" ინტეგრირებული მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;

7. **თეა ოშხერელი** - „ვეტერინარიის" ინტეგრირებული მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის თანახელმძღვანელი.

შპს ევროპის უნივერსიტეტი

1. **ნინო ტალიაშვილი** - ევროპის უნივერსიტეტის რექტორი;
2. **ნიკოლოზ ფარჯანაძე** - ვიცე რექტორი სასწავლო პროცესის ადმინისტრირების მიმართულებით;
3. **სოფიო ხუნდაძე** - ვიცე რექტორი ხარისხის განვითარების მიმართულებით;
4. **ეკა კაველიძე** - სამართლის, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი;
5. **ხატია ცირამუა** - განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;
6. **ნინო ფეტვიაშვილი** - მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი.

შპს თბილისის საერთაშორისო უნივერსიტეტი"აიიუთი"

1. **ვლადიმერ მკერვალიშვილი** - რექტორი;
2. **კახი ყურაშვილი** - ხარისხის მართვის დეპარტამენტის უფროსი;
3. **ნინო სეფაშვილი** - სასწავლო და ადმინისტრაციულ საქმეთა მართვის დეპარტამენტის უფროსი;
4. **ირინა არჯევანიძე** - მოსამზადებელი საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორი;
5. **ჭაბუკი ქირია** - პროგრამის ლიდერი.

სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი

1. **ზურაბ ზურაბაშვილი**- უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე;
2. **ლელა ალექსიძე** - განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი;
3. **ლაურა ელიაური** - განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;
4. **ნოდარ მირაზანაშვილი**- ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;
5. **ეკატერინე გიგაშვილი** - მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;
6. **ლევან მიდოდაშვილი** - უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი.

სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

1. **თეა ჯუღელი** - რექტორი;
2. **ლალი ტაბატაძე** - პროგრამის ხელმძღვანელი, პროფესორი;
3. **ნესტან კეკელია** - საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა, მათემატიკის, ტექნოლოგიებისა და ფარმაციის ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი;

4. **მარინა ზარქუა** - საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა, მათემატიკის, ტექნოლოგიებისა და ფარმაციის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი;
5. **რომეო გალდავა** - უნივერსიტეტის ხარისიხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.

აკრედიტაციის ექსპერტები:

დევიდ არნი (David Arney) (I);
დიმიტრი გოგებაშვილი (I);
სოფიო უგრეხელიძე (I);
ევანგელოს ცილიგირისი (Evangelos Tsiligkiris) (II, III);
მარინე გოგნელაშვილი (II);
სოფიო ჟღენტი (II);
ია ნაცვლიშვილი (II);
თამარი ხუციშვილი (III, IV);
ნინო პოპიაშვილი (III);
ხვთისო მამისიმედიშვილი (III);
ქრისტინე ჩიხლაძე (III);
ეკატერინე ფიფია (IV);
თამთა ცხოვრებაძე (IV);
გიორგი მხეიძე (IV);
იგორ პანტიჩი (Igor Pantić) (V);
ხათუნა საგანელიძე (V);
ქრისტინე ჩიხლაძე (V);
გიორგი მღვდელაძე (V);
ინგა ბოჭოიძე (VI);
ნინო ქიმერიძე (VI);
დიმიტრი ცანავა (VI).

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ **ლევანვ შავაძემ**.
საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 11:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს ევროპის უნივერსიტეტის ,,მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო" და "განათლების ადმინისტრირების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

3. შპს თბილისის საერთაშორისო უნივერსიტეტ "აიიუთის" ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო" და "მასწავლებლის მომზადების" საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ბიოორგანული ქიმიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
6. შპს თბილისის საერთაშორისო უნივერსიტეტ "აიიუთის" "ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

- კი

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილემ, ქეთევან ინანაშვილმა, შუამდგომლობა დააყენა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით, კერძოდ, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს შპს თბილისის საერთაშორისო უნივერსიტეტ "აიიუთის" "ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი მე-5 საკითხად განეხილათ. საბჭომ ერთხმად დააკმაყოფილა აღნიშნული შუამდგომლობა.

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს ევროპის უნივერსიტეტის ,,მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო" და "განათლების ადმინისტრირების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. შპს თბილისის საერთაშორისო უნივერსიტეტ "აიიუთის" ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო" და "მასწავლებლის მომზადების" საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. შპს თბილისის საერთაშორისო უნივერსიტეტ "აიიუთის" "ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.
6. სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ბიოორგანული ქიმიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

პირველი საკითხი: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: ვეტერინარია;
საფეხური: ინტეგრირებული სამაგისტრო;
სწავლების ენა: ქართული;
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ვეტერინარიის მაგისტრი;
კრედიტების რაოდენობა: 347;
სტატუსი: პირობით აკრედიტებული;
დეტალური სფეროს კოდი: ვეტერინარია, 0841.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი
თვითაცილება განაცხადა დავით კაპანაძემ.
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, დიმიტრი გოგებაშვილმა და ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, დევიდ არნიმ (David Arney) საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გააცნეს ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახული მიგნებები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
დაწესებულების წარმომადგენელმა პირველ რეკომენდაციასთან მიმართებით აღნიშნა, რომ პროგრამის დაშვების წინაპირობა წარმოდგენილი იყო იმგვარი რედაქციით, რომელიც უზრუნველყოფდა კანონმდებლობასთან შესაბამისობას. შეასაბამისად, რეკომენდაცია უნდა ყოფილიყო რჩევის სახით წარმოდგენილი, რადგან არანაირ დარღვევას არ ჰქონდა ადგილი და ის კანონმდმებლობასთან სრულ შესაბამისობაში იყო. აკადემიურ პერსონალთან დაკავშირებით განაცხადა, რომ მათი მიღების ღია საერთაშორისო აკადემიური კონკურსი დასრულდა მიმდინარე წლის 25 ივლისს და პრაქტიკულად 100%-ით არის გათვალისწინებული ის რჩევები, რომლებიც გაიცა ამ მიმართულებით. მისი თქმით, სამგორის ტერიტორიაზე ინსტიტუციას გააჩნდა საკმაოდ დიდი ადაპტირებადი ფართი ლაბორატორიებისთვის. ლიტერატურასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ სტუდენტს სასწავლო მასალაზე წვდომა მუდმივად ჰქონდა, ლიტერატურის დიდი ნაწილი იყო ელექტრონულად, თუმცა მიმდინარეობდა ამაზე მუშაობა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, ქეთევან აფთარაშვილმა, კითხვით მიმართა დაწესებულებას. მას აინტერესებდა, კონკრეტულად რომელ საერთაშორისო ბაზებზე ჰქონდათ წვდომა სტუდენტებს დარგის გათვალისწინებით.
სტუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა, ივანე ჯაგოდნიშვილმა აღნიშნა, რომ ინსტიტუციას ჰქონდა ბაზა "I-learning"-ი და მასში იყო წარმიდგენილი ბმულის სახით საერთაშორისო სერვისი.
"ვეტერინარიის" ინტეგრირებული მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა, ლევან ციცქიშვილმა, ხაზი გაუსვა ფრანგ კოლეგებთან თანამშრომლობას, რადგან თემატიკა ნახლდებოდა მათი ინიციატივით. ასევე ლიტერატურის შერჩევა-მოწოდებასაც ისინი უზრუნველყოფდნენ.
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს, ქეთევან აფთარაშვილს ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებით აინტერესებდა დაწესებულები პოზიცია.
სტუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა, ივანე ჯაგოდნიშვილმა განმარტა, რომ ვიზიტის პერიოდში ინფრასტრუქტურისა და ლაბორატორიის განახლების პროცესი დაწყებული იყო და ამის დამადასტურებელი დოკუმენტებიც წარედგინა ექსპერტებს. უნივერსიტეტი ამ პერიოდში ელოდებოდა ტენდერის შედეგებს. ამის შემდეგ მოხდა ტექნიკის შეძენა, რომელთა ერთი ნაწილი გზაში იყო, ხოლო მეორე ნაწილი სექტემბრისთვის იქნებოდა საქართველოში. ამრიგად, ახალი სასწავლო წლისთვის მატერიალურ-ტექნიკური პრობლემა აღმოფხვრილი იქნებოდა.
საბჭოს წევრმა, ელიზბარ ელიზბარაშვილმა, კითხვით მიმართა დაწესებულებას. მისი თქმით, იქიდან გამომდინარე, რომ სტუდენტებს ქიმიის მიმართულებით სკოლიდან ჰქონდათ განათლების დაბალი დონე, ინსტიტუციამ გაამარტივა კურსი, რის შედეგადაც მოხდა შედეგების გაუმჯობესება. მას აინტერესებდა, რა იგულისხმებოდა სიტყვა "გამარტივებაში".
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა, ივანე ჯაგოდნიშვილმა, განმარტა, რომ სტუდენტთა საჭიროებების შეფასების შედეგად მიღებული დასკვნის საფუძველზე, განხორციელდა რამდენიმე მნიშვნელოვანი ცვლილება სასწავლო პროცესში. კერძოდ, დაინიშნა დამატებითი საკონსულტაციო საათები სტუდენტებთან, რაც მიზნად ისახავდა მათი აკადემიური მხარდაჭერის გაძლიერებას. ასევე, გაიზარდა ჯგუფური სამუშაოების რაოდენობა, რაც ხელს უწყობს კოლაბორაციულ სწავლებასა და პრაქტიკული უნარების განვითარებას. გარდა ამისა, სასწავლო კვირები გახდა უფრო ინტენსიური, რაც უზრუნველყოფს სასწავლო მასალის უკეთ ათვისებას. აღნიშნული ცვლილებები მიზნად ისახავდა იმ დეფიციტის აღმოფხვრას, რომელიც სტუდენტთა ინტერვიუების საფუძველზე გამოვლინდა.
საბჭოს წევრმა, ელიზბარ ელიზბარაშვილმა, ექსპერტებს სთხოვა ბიბლიოთეკებთან დაკავშირებით გაეკეთებინათ კომენტარი.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, დევიდ არნიმ (David Arney), აღნიშნა, რომ აღნიშნული პრობლემა გამოიკვეთა ვიზიტის ფარგლებში განხორციელებული შეფასების დროს. ექსპერტებმა განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილეს იმ გარემოებაზე, რომ სასწავლო რესურსები, კერძოდ, წიგნები, ხელმისაწვდომი უნდა იყოს ფიზიკური ფორმით. არნის განცხადებით, დაწესებულების ბიბლიოთეკა მდებარეობს სასწავლო სივრციდან გარკვეული მანძილით დაშორებით, რაც შესაძლოა სტუდენტებისთვის დისკომფორტის მიზეზი გახდეს. აღნიშნული შეფასება ეფუძნება სტუდენტებთან გამართულ გასაუბრებებს, რომლებმაც დაადასტურეს ელექტრონული ბიბლიოთეკის არსებობა, თუმცა აღმოჩნდა, რომ ნაწილი მათგანი არ ფლობდა მის გამოყენების უნარს, ან არ აღიქვამდა მის გამოყენების საჭიროებას
ელიზბარ ელიზბარაშვილმა კითხვით მიმართა დაწესებულებას. მას აინტერესებდა, ტექნიკური ბაზის შევსება რამდენად მოსწრებადი იყო ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე, რადგან ექსპერტებს საკმაოდ კრიტიკულად ჰქონდათ შეფასებული ეს ნაწილი.
დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, კლინიკური სწავლება და პრაქტიკული კომპონენტები იწყება მე-5 სემესტრიდან, რა დროისთვისაც უნივერსიტეტი სრულად იქნება

აღჭურვილი შესაბამისი ტექნიკური საშუალებებითა და ინფრასტრუქტურით. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ სწავლებისთვის საჭირო რესურსები 2026 წლის 16 მარტისთვის სრულად მზად იქნება.
საბჭოს წევრმა, ნარგული ასანიძემ, დაწესებულებას დაუსვა კითხვა პერსონალის კვალიფიკაციის შესახებ აღნიშნულ დარგში. პასუხად, ივანე ჯაგოდნიშვილმა განმარტა, რომ სასწავლო პროცესში ჩართული არიან დარგის სპეციალისტები და ის უხერხულობა, რაც ამ მიმართულებით ადრე არსებობდა, უკვე აღმოფხვრილია.
ქეთევან აფთარაშვილმა ექსპერტთა ჯგუფს მიმართა კითხვით, დაინტერესდა, მოხდა თუ არა პროგრამის შედარება დარგობრივ მახასიათებელთან ვიზიტის ფარგლებში. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, დევიდ არნიმ (David Arney), დაადასტურა, რომ შესაბამისობის შეფასება განხორციელდა და პროგრამა სრულად შეესაბამება დარგობრივ მახასიათებლებს

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 12:15
დასრულების დრო: 12:56

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "ვეტერინარიის" ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით, 2 წლისთავზე მონიტორინგის განხორციელების პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^{2}მუხლის პირველი პუნქტის, 27^{5}მუხლი ს პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^{6}მუხლის პირველი პუნქტის „ბ^{1}“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "ვეტერინარიის" ინტეგრირებულ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 2032 წლის 01 აგვისტომდე, 2 წლისთავზე მონიტორინგის განხორციელების პირობით.

დაწესებულების წარმომადგენელმა შუამდგომლობა დააყენა, რომ მიღებული გადაწყვეტილება ძალაში შესულიყო 2025 წლის 01 აგვისტოდან. საბჭომ ერთხმად დააკმაყოფილა აღნიშნული შუამდგომლობა.

მეორე საკითხი: შპს ევროპის უნივერსიტეტის ,,მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო" და "განათლების ადმინისტრირების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

პროგრამა №1
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: მასწავლებლის მომზადება;

სასწავლო მოდულები:

- **სახელმწიფო ენა:** დაწყებითი საფეხურის (I-VI) ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი; საბაზო-საშუალო საფეხურის (VII-XII) ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი;
- **მათემატიკა:** დაწყებითი საფეხურის (I-VI) მათემატიკის მასწავლებელი; საბაზო-საშუალო საფეხურის (VII-XII) მათემატიკის მასწავლებელი;
- დაწყებითი საფეხურის (I-IV კლასების) ქართული ენისა და ლიტერატურის, მათემატიკისა და ბუნებისმეტყველების მასწავლებელი;
- **ტექნოლოგიები:** დაწყებითი საფეხურის კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებელი;
- **საზოგადოებრივი მეცნიერებები:** საბაზო-საშუალო საფეხურის (VII-XII) მასწავლებელი საზოგადოებრივ მეცნიერებებში - ისტორიის მასწავლებელი; საბაზო-საშუალო საფეხურის (VII-XII) მასწავლებელი საზოგადოებრივ მეცნიერებებში - სამოქალაქო განათლების მასწავლებელი; საბაზო-საშუალო საფეხურის (VII-XII) მასწავლებელი საზოგადოებრივ მეცნიერებებში - გეოგრაფიის მასწავლებელი;
- **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:** დაწყებითი საფეხურის (I-VI) ბუნებისმეტყველების მასწავლებელი;
- **უცხოური ენები:** დაწყებითი, საბაზო - საშუალო საფეხურის მასწავლებელი უცხოურ ენაში -ინგლისური ენის მასწავლებელი; დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებელი უცხოურ ენაში - რუსულის, როგორც უცხოური ენის მასწავლებელი.

სწავლების ენა: ქართული;
კრედიტების რაოდენობა: 60;
სტატუსი: აკრედიტებული.

პროგრამა №2
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: განათლების ადმინისტრირება;
საფეხური: მაგისტრატურა;
სწავლების ენა: ქართული;
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: განათლების ადმინისტრირების მაგისტრი;
კრედიტებისრაოდენობა: 120;
სტატუსი: აკრედიტებული;
დეტალური სფეროს კოდი: 0188 ინტერდისციპლინური – მოიცავს განათლებას.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამების ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ევანგელოს ცილიგირისმა (Evangelos Tsiligkiris), უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გააცნო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახული რეკომენდაციები და შეფასებები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებ ები.
დაწესებულების წარმომადგენელმა, სოფიო ხუდაძემ, პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ დაწესებულება სრულად იზიარებდა მას და მზად იყო შესაბამისი ცვლილებების განხორციელებისთვის. რაც შეეხება განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამასთან დაკავშირებულ რეკომენდაციებს, მან განმარტა, რომ ამ ეტაპზე დაწესებულებას ჰყავდა ერთი კურსდამთავრებული, შეფასებული იყო ერთი პრაქტიკის ანგარიში და შესრულებული ერთი სამაგისტრო ნაშრომი. შესაბამისად, არსებული მონაცემების საფუძველზე დაწესებულების საქმიანობის შესახებ ზოგადი დასკვნების გამოტანა რთული იყო. მიუხედავად ამისა, პრაქტიკის ანგარიში დეტალურად იყო გაწერილი და სტუდენტები ინფორმირებულნი იყვნენ მისი შინაარსის შესახებ. დაწესებულება მზადყოფნას გამოთქვამდა შეემუშავებინა უფრო დეტალური წერილობითი ინსტრუქცია, რაც სტუდენტებს პრაქტიკული კომპონენტის შესრულებაში დამატებით მხარდაჭერას გაუწევდა.
სამაგისტრო ნაშრომთან დაკავშირებით ხუდაძემ აღნიშნა, რომ დაწესებულება მზად იყო გააგრძელოს თანამშრომლობა ნაშრომის ხელმძღვანელებთან. მან ასევე ხაზი გაუსვა, რომ ნაშრომის შეფასება განხორციელდა 14 სხვადასხვა კრიტერიუმის საფუძველზე, მათ შორის იმ საკითხების გათვალისწინებით, რომლებიც რეკომენდაციაში იყო აღნიშნული. ხელმძღვანელების გადამზადების მიმართულებით ხუდაძემ აღნიშნა, რომ ტარდებოდა მრავალი ტრენინგი. გამომდინარე იქიდან, რომ დაწესებულება რეკომენდაციას იზიარებდა და აქტიურად მუშაობდა მის განხორციელებაზე, მისი რჩევის სახით წარმოდგენა მიზანშეწონილი იქნებოდა.
მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა, ნინო ფეტვიაშვილმა, აღნიშნა, რომ პროგრამის ეფექტური განხორციელება შეუძლებელი იქნებოდა დიდაქტიკის ძირითადი ცნებების სათანადო გათვალისწინების გარეშე. მისი თქმით, რეკომენდაციაში აღნიშნული საკითხები პროგრამაში გაფანტულად იყო წარმოდგენილი. დაწესებულება ითვალისწინებდა აღნიშნულ რეკომენდაციას და გეგმავდა დიდაქტიკის ძირითადი ცნებების სისტემურ ინტეგრაციას პროგრამის სტრუქტურაში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრმა, ვლადიმერ ადეიშვილმა, დაწესებულებას დაუსვა კითხვა მასწავლებლი მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის მათემატიკის მოდულზე მიღების წინაპირობებთან დაკავშირებით. კერძოდ, მას აინტერესებდა, შესაძლებელი იყო თუ არა პროგრამაზე ჩაბარება მხოლოდ მათემატიკის მიმართულების კურსდამთავრებულებისთვის.
მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა, ნინო ფეტვიაშვილმა, განმარტა, რომ მიღების წინაპირობებში მითითებული იყო შესაბამისი გამოცდის ჩაბარების მოთხოვნა, რომლის საფუძველზეც ხდებოდა სტუდენტთა შერჩევა.
საბჭოს წევრმა, ირინა ლობჟანიძემ, პუბლიკაციებთან დაკავშირებულ რეკომენდაციაზე დაუსვა კითხვა, რომელიც ეხებოდა მხოლოდ ნაშრომის ხელმძღვანელებს თუ ასევე სხვა აკადემიურ პერსონალს. დაწესებულების წარმომადგენელმა, სოფიო ხუდაძემ, აღნიშნა, რომ უნივერსიტეტს ფუნქციონირებდა სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრი, რომელიც

ყოველი სემესტრის დასაწყისში იკვლევდა პერსონალის საჭიროებებს და გეგმავდა შესაბამის ტრენინგებს. წლის ბოლოს ხდებოდა პერსონალის შეფასება და გაიცემოდა ფინანსური ჯილდოები, რაც ხელს უწყობდა მათი მოტივაციის ზრდას.
მარინე გოგნელაშვილმა აღნიშნა, რომ სტუდენტთა რაოდენობის ზრდასთან ერთად მოსალოდნელი იყო სამაგისტრო კვლევის თემების მრავალფეროვნების ზრდა, რაც შესაძლოა მოითხოვდეს პერსონალის დამატებით აკადემიურ მომზადებას.
ნიკოლოზ ფარჯანაძემ საბჭოს მიმართა თხოვნით, რომ დასკვნაში არსებული საკითხების დუბლირება განხილულ იქნას. მან ასევე აღნიშნა, რომ კვლევითი აქტივობა ხორციელდებოდა როგორც მოწვეული, ისე აკადემიური პერსონალის მიერ.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ევანგელოს ცილიგირისმა (Evangelos Tsiligkiris), განაცხადა, რომ რეკომენდაციების განმეორება დასკვნაში დასაშვებია და დაწესებულების პოზიცია ამ მხრივ მისაღებია. რაც შეეხება აკადემიური პერსონალის შესაძლებლობებს, ექსპერტთა ჯგუფს არ ჰქონდა შენიშვნები, თუმცა რეკომენდაცია შეეხებოდა კვლევის სფეროების გაფართოებას.
დასასრულს, სოფიო ხუდაძემ აღნიშნა, რომ პერსონალის გადამზადების ტრენინგები გრძელდებოდა ორი-სამი თვის განმავლობაში, რაც უზრუნველყოფდა საფუძვლიან და სისტემურ პროფესიულ განვითარებას

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 13:44
დასრულების დრო: 13:54

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
შპს ევროპის უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 16
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 -ემუ ხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს ევროპის უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 2032 წლის 01 აგვისტომდე.
დაწესებულების წარმომადგენელმა შუამდგომლობა დააყენა, რომ მიღებული გადაწყვეტილება ძალაში შესულიყო 2025 წლის 01 აგვისტოდან. საბჭომ ერთხმად დააკმაყოფილა აღნიშნული შუამდგომლობა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

შპს კავკასიის უნივერსიტეტის "განათლების ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციიის მინიჭების საკითხი კლასტერის ვადით 2032 წლის 01 აგვისტომდე.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 16
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 -ემუ ხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს ევროპის უნივერსიტეტის ,,მასწავლებლის მომზადების" საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია საკითხი კლასტერის ვადით, 2032 წლის 01 აგვისტომდე.
დაწესებულების წარმომადგენელმა შუამდგომლობა დააყენა, რომ მიღებული გადაწყვეტილება ძალაში შესულიყო 2025 წლის 01 აგვისტოდან. საბჭომ ერთხმად დააკმაყოფილა აღნიშნული შუამდგომლობა.

მესამე საკითხი: შპს თბილისის საერთაშორისო უნივერსიტეტ "აიიუთის" ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა;
სწავლების ენა: ქართული;
კრედიტების რაოდენობა: 60;
სტატუსი: ახალი.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ნინო პოპიაშვილმა, უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გააცნო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახული რეკომენდაციები და შეფასებები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
დაწესებულების რექტორმა, ვლადიმერ მკერვალიშვილმა, პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ აღნიშნული მიმართულება წარმოადგენს უნივერსიტეტის ერთ-ერთ ძირითად აქტივობას, რომელიც უკვე განხორციელდა. მისი თქმით, ინსტიტუციამ შეისწავლა სამიზნე ჯგუფების საჭიროებები და სხვადასხვა წყაროს ანალიზის საფუძველზე მიიღო გადაწყვეტილება, რომ დაიწყოს პროექტის შემუშავება, რომლის მიზანია ტექნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის შესაბამისი საგანმანათლებლო პირობების შექმნა. შესაბამისად, რექტორმა განაცხადა, რომ დაწესებულება ვერ იზიარებდა რეკომენდაციას, ვინაიდან ის უკვე მოქმედებდა აღნიშნულ მიმართულებით.
პროგრამის ლიდერმა, ჭაბუკი ქირიამ, განმარტა, რომ თვითშეფასების ანგარიშში პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების ნაწილში შეინიშნებოდა ტექსტის დუბლირება — ორივე კომპონენტში ერთნაირად იყო ჩამოთვლილი კომპეტენციები, რომლებიც სტუდენტებს უნდა განუვითარდეთ (ლინგვისტური, სოციოლინგვისტური, დისკურსული, სოციოკულტურული და სხვა). აღნიშნული დუბლირება არ იყო წარმოდგენილი პროგრამის აღწერილობაში. ქირიამ აღნიშნა, რომ ასეთი ფორმულირება შესაძლოა ქმნიდეს შთაბეჭდილებას, თითქოს უნივერსიტეტს არ ჰქონდა მკაფიო ხედვა სწავლის მიზნებისა და შედეგების შესახებ, თუმცა ექსპერტთა შეფასებით, პროგრამას ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები გააჩნდა, რომლებიც ლოგიკურად იყო ერთმანეთთან დაკავშირებული. მათი თქმით, პროგრამის მიზნები სრულად შეესაბამებოდა უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესების მიზნით, რეგულარულად ხდებოდა სწავლის შედეგების შეფასება, ხოლო პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფდა დასახული მიზნების მიღწევას

ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორმა, ირინა არჯევანიძემ, ერთ-ერთ რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ დაწესებულებამ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფს მიაწოდა ინფორმაცია, რომელიც დოკუმენტურად ადასტურებდა პერსონალის მონაწილეობას პროგრამის შემუშავების პროცესში. მისი თქმით, უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით შეიქმნა ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემმუშავებელი ჯგუფი, რომელიც აქტიურად იყო ჩართული ყველა ეტაპზე.
სასწავლო და ადმინისტრაციულ საქმეთა მართვის დეპარტამენტის უფროსმა, ნინო სეფაშვილმა, აღნიშნა, რომ უნივერსიტეტში დანერგილია სასწავლო პლატფორმა, რომელსაც აქტიურად იყენებენ ადმინისტრაციის წარმომადგენლები, ლექტორები და სტუდენტები. მისი განმარტებით, საექსპერტო ვიზიტის დროს სასწავლო პროცესი ახლად დაწყებული იყო, რაც შესაძლოა გარკვეული გაურკვევლობების მიზეზი გამხდარიყო. რეკომენდაციით გათვალისწინებული იყო საკონსულტაციო სერვისების ფუნქციონირების უზრუნველყოფა და სტუდენტების ინფორმირება მათი ხელმისაწვდომობის შესახებ. თუმცა, დაწესებულება აღნიშნულ რეკომენდაციას არ ეთანხმებოდა, რადგან კომუნიკაციის საკითხი უნივერსიტეტისთვის პრიორიტეტულია და მასზე მუდმივად მიმდინარეობს მუშაობა. მე-12 რეკომენდაციასთან დაკავშირებით სეფაშვილმა აღნიშნა, რომ რეკომენდაციით გათვალისწინებული პროცესები უკვე განხორციელდა და სტუდენტებისთვის შესაბამისი ინფორმაცია მიწოდებული იყო.

რექტორმა, ვლადიმერ მკერვალიშვილმა, აღნიშნა, რომ უნივერსიტეტს ამ ეტაპზე ჰყავდა მხოლოდ 5 სტუდენტი, რის გამოც სტუდენტური თვითმმართველობის შექმნა გარკვეულ სირთულეს წარმოადგენდა.
ხარისხის მართვის დეპარტამენტის უფროსმა, კახი ყურაშვილმა, ბოლო ორ რეკომენდაციასთან დაკავშირებით განმარტა, რომ აკადემიური პერსონალი მონაწილეობდა ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტის შემუშავებაში, რომელიც 2023 წელს შეიქმნა. პროგრამის განმახორციელებელი პირები უნივერსიტეტმა მოგვიანებით შეარჩია, რის გამოც ისინი პირველადი სამუშაოების პროცესში უშუალოდ არ მონაწილეობდნენ, თუმცა მათ ჩაუტარდათ შესაბამისი ტრენინგები. მეთექვსმეტე რეკომენდაციაში მითითებული მექანიზმი ასახულია ხარისხის მართვის პოლიტიკის დოკუმენტში, სადაც დეტალურადაა აღწერილი სწავლის შედეგების შეფასების სისტემა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრმა, მაქსიმ იავიჩმა, დაწესებულებას დაუსვა კითხვა სტუდენტთა პროექტების დაფინანსების მხარდაჭერის გეგმასთან დაკავშირებით. უნივერსიტეტის წარმომადგენელმა, ვლადიმერ მკერვალიშვილმა, აღნიშნა, რომ აღნიშნული გეგმა უკვე არსებობდა და უნივერსიტეტის ბიუჯეტში გათვალისწინებული იყო შესაბამისი ხარჯები, რომლებიც მიზნად ისახავდა სტუდენტთა მხარდაჭერას სხვადასხვა პროექტების განხორციელების პროცესში.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ნინო პოპიაშვილმა, განმარტა, რომ ვიზიტი განხორციელდა მიმდინარე წლის 19 მაისს, მაშინ როდესაც სასწავლო პროცესი დაიწყო 1-ელ აპრილს. შესაბამისად, გარკვეული საკითხების შესახებ სტუდენტების ინფორმირებულობის დაბალი დონე შესაძლოა გამოწვეული ყოფილიყო დროის სიმცირით, რაც რეკომენდაციების ფორმულირების ერთ-ერთ საფუძველს წარმოადგენდა.
საბჭოს წევრმა, ირინა ლობჟანიძემ, ექსპერტთა ჯგუფს დაუსვა კითხვა ანალოგიური პროგრამების შესწავლის შესახებ. მას აინტერესებდა, რომელი საგანმანათლებლო დაწესებულებების დოკუმენტები იყო გამოყენებული პროგრამის შედარებისა და ინტეგრაციის პროცესში, ასევე დაინტერესდა, აპირებდა თუ არა უნივერსიტეტი შეფასების სისტემის გადახედვას რეკომენდაციის შესაბამისად.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ნინო პოპიაშვილმა აღნიშნა, რომ ექსპერტებს წარედგინათ იმ უნივერსიტეტების ნორმატიული დოკუმენტების ჩანართები, რომლებთანაც თანამშრომლობდა დაწესებულება.
ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორმა, ირინა არჯევანიძემ, განმარტა, რომ პროგრამაში დაფიქსირებული ტექსტის დუბლირება წარმოადგენდა მექანიკურ შეცდომას და რეალურად დუბლირება არ არსებობდა. შეფასების სისტემასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ შესაძლოა სილაბუსებში არსებობდეს მსგავსი შეფასების ფორმები, რის გაუმჯობესებაზე დაწესებულება იმუშავებს და საჭიროების შემთხვევაში განხორციელდება შესაბამისი კორექტირება

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 14:38
დასრულების დრო: 14:55

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
შპს თბილისის საერთაშორისო უნივერსიტეტ "აიიუთის" ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამისათვის პირობითი აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 4 წლის ვადით, 2029 წლის 01 აგვისტომდე.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 16

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ბ” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-5 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის,მე-5 და მე-9 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 - ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6- ემუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს თბილისის საერთაშორისო უნივერსიტეტ "აიიუთის" ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს პირობითი აკრედიტაცია 4 წლის ვადით, 2029 წლის 01 აგვისტომდე.
დაწესებულების წარმომადგენელმა შუამდგომლობა დააყენა, რომ მიღებული გადაწყვეტილება ძალაში შესულიყო 2025 წლის 01 აგვისტოდან. საბჭომ ერთხმად დააკმაყოფილა აღნიშნული შუამდგომლობა.

მეოთხე საკითხი: სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო" და "მასწავლებლის მომზადების" საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

პროგრამა №1
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადება;
საფეხური: ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო;
სწავლების ენა: ქართული;
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: განათლების მაგისტრი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის I-IV კლასების ქართული ენისა და ლიტერატურის, მათემატიკის, ბუნებისმეტყველების და არჩევით, V-VI კლასების მათემატიკის ან დაწყებითი საფეხურის (I -V I კლასების) საზოგადოებრივი მეცნიერებების მასწავლებელი);
კრედიტების რაოდენობა: 300;
სასწავლო მოდულები: დაწყებითი საფეხურის (I-IV კლასების) ქართული ენისა და ლიტერატურის, მათემატიკის, ბუნებისმეტყველების და არჩევით, (V-VI კლასების) მათემატიკის ან დაწყებითი საფეხურის (I -VI კლასების) საზოგადოებრივი მეცნიერებების მასწავლებელი
სტატუსი: აკრედიტებული;
დეტალური სფეროს კოდი: მასწავლებლის მომზადება საგნობრივი სპეციალიზაციით, 0114.

პროგრამა №2
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა;
სწავლების ენა: ქართული;
კრედიტების რაოდენობა: 60;
სასწავლო მოდულები:

- ქართული ენა და ლიტერატურა საბაზო ან/და საშუალო საფეხური;
- **მათემატიკა** (საბაზო ან/და საშუალო საფეხური);

- **უცხოური ენები**: ინგლისური (დაწყებითი, საბაზო ან/და საშუალო საფეხური); გერმანულის (დაწყებითი, საბაზო ან/და საშუალო საფეხური); რუსული (დაწყებითი, საბაზო ან/და საშუალო საფეხური);
- **საზოგადოებრივი მეცნიერებები:** გეოგრაფია (საბაზო ან/და საშუალო საფეხური); ისტორია (საბაზო ან/და საშუალო საფეხური; მოქალაქეობა (საბაზო ან/და საშუალო საფეხური);
- **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:** ბიოლოგია (საბაზო ან/და საშუალო საფეხური);
- **ტექნოლოგიები:** კომპიუტერული ტექნოლოგიები
- **სპორტი**: სპორტი

სტატუსი: აკრედიტებული;

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ი საცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი
თვითაცილება განაცხადეს ციური დურულმა და თეა მჭედლურმა.
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ევანგელოს ცილიგირისმა (Evangelos Tsiligkiris), უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გააცნო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახული რეკომენდაციები და შეფასებები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებ ები.
უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა, ლევან მიდოდაშვილმა, პროგრამის სწავლის შედეგებთან მიმართებით გაცემულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ დაწესებულება არ იზიარებდა მას, რადგან 1.2 კომპონენტში უნდა განხილულიყო მხოლოდ სწავლის შედეგები და იმ კრიტერიუმების მიხედვით უნდა შეფასებულიყო, რაც იყო წარმოდგენილი. 1.3 კომპონენტთან მიმართებით განაცხადა, რომ დაწესებულების ასეთი მექანიზმი, შემუშავებული იყო განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შემოთავაზებული დ აასევე საერთაშორისო, კერძოდ, კალიფორნიის უნივერსიტეტის რეკომენდაციის საფუძველზე. გარდა ამისა, დასკვნაში ხაზგასმულია, რომ დაწესებულების მიერ გაგზავნილი შეფასების დოკუმენტაცია არ მოიცავდა საჭირო მონაცემებს, რაც არ შეესაბამებოდა რეალობას. დაწესებულების მიერ გადმოგზავნილ 15.2 დანართში საკმაოდ დეტალურად იყო ყოველივე ეს გაწერილი. ასევე გაუგებარია ჩანაწერი იმის შესახებ,

რომ არ არის დეტალურად ინფორმაცია მიწოდებული სტუდენტთათვის წინაპირობებთან დაკავშირებით, თუმცა ყველა სილაბუსშია გაწერილი აღნიშნულთან მიმართებით ინფორმაცია და ვებგვერდზეცაა განთავსებული. მემორანდუმებში სტუდენტთა რაოდენობის ასახვასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ სტუდენტთა რაოდენობა ვერ აისახებოდა, რადგან სკოლა არ იძლეოდა ზუსტ პასუხს იმის შესახებ თუ რამდენი სტუდენტის მიღებას შეძლებდა ყოველწლიურად. 2.3 კომპონენტში გაცემულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ სასწავლო პროცესი საკმაოდ მჭიდრო კავშირში იყო თანამედროვე ტექნოლოგიებთან. რაც შეეხება შეფასებასთან დაკავშირებულ რეკომენდაციას, კურსის ხელმძღვანელი თავად ადგენდა შეფასების სისტემას და ადმინისტრაციას არ ჰქონდა უფლება ამაში ჩარევის. ამასთან, ყოველი სემესტრის ბოლოს ხდებოდა სასწავლო კურსის შედეგების შეფასება, გარდა ამისა, 3 წელიწადში ერთხელ ფასდებოდა პროგრამა, სადაც კურსდამთავრებულებიც იყვნენ ჩართულნი. პლაგიატთან მიმართებით გაცემულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ პლაგიატთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღება ხდებოდა ხელმძღვანელის მიერ. წარმოდგენილ დოკუმენტაციაში მოცემული იყო გამოკითხვები ოთხივე მხარის პროგრამის შეფასების, რომელიც საკმაოდ მრავალფეროვანი იყო. სამაგისტრო ნაშრომის შეფასებასთან მიმართებით აღნიშნა, რომ ის შეესაბამებოდა მინისტრის მესამე ბრძანებას. რეკომენდაციაში მითითებულია, რომ 60 კრედიტიან პროგრამაზე მიღების წინაპირობები არ არის გამჭვირვალე. ეს ინფორმაცია ჯერ არ იყო განთავსებული ვებგვერდზე, რადგან მიღება არ იყო გამიცხადებული. ინგლისური ენის სწავლებასთან მიმართებით დასძინა, რომ ამ სასწავლო კურსის სილაბუსი ენების საერთო ევროპული ჩარჩოს პრინციპებს ერგება. სწავლების ინდივიდუალური მიდგომები გადანაწილებიული იყო სხვა სასწავლო კურსებში. რეკომენდებული იყო პრაქტიკული გაკვეთილების ჩართვა. მისი თქმით, მეოთხე კვირიდან პრაქტიკები ჩართული იყო სასწავლო პროცესში.

უნივერსიტეტის რექტორის მოადგილემ, ზურაბ ზურაბაშვილმა, აღნიშნა, რომ სასწავლო კურსი, რეალურად, უკვე პასუხობდა თანამედროვე კვლევითი კომპეტენციების განვითარებასა და ინტეგრირებას. სილაბუსში დეტალურად იყო გაწერილი როგორც რაოდენობრივი, ისე თვისობრივი კვლევის მეთოდები. გარდა ამისა, სასწავლო კურსი მოიცავდა თანამედროვე ტენდენციების განხილვასა და კვლევითი ანგარიშების მომზადებასა. სასწავლო კურსი არა მხოლოდ თეორიულ ნაწილს, არამედ მოიცავდა პრაქტიკულსაც. მეორე სტანდარტის მეოთხე კომპონენტთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ამ კურსის ამჟამინდელი შეფასების სისტემა უკვე აერთიანებდა როგორც თეორიული ცოდნის, ისე კვლევითი უნარების მრავალფეროვან კომპონენტებს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს თავმჯდომარის მოადგილმე, ქეთევან აფთარაშვილმა, 1.4 რეკომენდაციასთან დაკავშირებით კითხვით მიმართა ექსპერტებს. მას აინტერესებდა, ტექნიკური ხარვეზი ხომ არ იყო რეკომენდაციის ფორმულირება და ეხებოდა თუ არა ის სტუდენტთა ინფორმირებულობის ნაწილს.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ევანგელოს ცილიგირისმა (Evangelos Tsiligkiris), აღნიშნა, რომ ამასთან დაკავშირებით არანაირი შენიშვნა არ ჰქონდა და ეთანხმებოდა აღნიშნულ მოსაზრებას, თუმცა არ ეთანხმებოდა პლაგიატთან დაკავშირებით გამოთქმულ პასუხს დაწესებულების მიერ და ზოგადად მისთვის გასაკვირია იყო ის, რომ დაწესებულება არ ეთანხმებოდა რეკომენდაციებს, რადგან აქ იყო ძალიან მნიშვნელოვან საკითხებზე საუბარი, რაც ანგარიშშიც არის მითითებული. მისი თქმით, ბოლო კომუნიკაციის დროს ადმინისტრაციას კონკრეტული მაგალითებით გააცნო ექსპერტთა გუნდმა რეკომენდაციები. საბოლოო ნაშრომის შემოწმების პროცესი შემდეგნაირი იყო: ის იგზავნებოდა მეილით ბიბლიოთეკაში, ხოლო შემდეგ "ტურნიტინით" ხდებოდა მისი შემოწმება. სტუდენტი ამას თავად არ აკეთებდა, შესაბამისად სტუდენტს რჩებოდა სივრცე შემოწმებული პლაგიატის შედეგების უარყოფისთვის. როგორც დაწესებულებამ აღნიშნა, პლაგიატზე შემოწმების მეთოდებს

ადგენდა თავად ხელმძღვანელი, რაც, რა თქმა უნდა, არ არის მიზანშეწონილი. ამ ნაწილში ყველაზე მთავარი არის ის, რომ უნივერსიტეტში უნდა არსებობდეს პოლიტიკა, რომლის თანახმადაც იქნება საკმაოდ მკაფიო წესი და სტუდენტებს ექნებათ ვალდებულება თავად წარადგინონ ნაშრომი პლაგიატზე.
ქეთევან აფთარაშვილმა კითხვით მიმართა ექსპერტებს. მას აინტერესებდა, ნაშრომის ატვირთვასთან დაკავშირებით თუ იყო რაიმე ხარვეზი დაფიქსირებული.
ევანგელოს ცილიგირისმა (Evangelos Tsiligkiris) განმარტა, რომ მსგავსი არაფერი ყოფილა.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტში პლაგიატთან დაკავშირებით ინფორმაცია განთავსებული იყო ვებგვერდზე. პლაგიატი ყველა შემთხვევაში მოწმდებაოდა ხემლძღვანელის მიერ და არ ჰქონდა მნიშვნელობა პროცენტულ რაოდენობას.
საბჭოს წევრმა, ქეთევან ნანობაშვილმა, კითხვით მიმართა ექსპერტებს. მას აინტერესებდა, რაიმე სტანდარტით ეკლდა საკითხები ტექნოლოგიური სასწავლო კურსების სილაბუსებს თუ ეს ექსპერტთა შეხედულება იყო. ექსპერტმა განმარტა, რომ სილაბუსში საკითხები სრულყოფილად იყო შეტანილი, თუმცა უკუკავშირის დროს ამ საკითხების ცოდნა არ გამოვლინდა.
საბჭოს წევრმა, ელიზბარ ელიზბარაშვილმა, კითხვით მიმართა დაწესებულებას. მისი თქმით, ხელმძღვანელთან ერთად პლაგიატი უნდა დაადგინოს რეცენდენტმა. მას აინტერესებდა, შეეძლო თუ არა ამ მონაცემებით ხელმძღვანელობა რეცენდენტს.
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ როგორც ხელმძღვანელს, ისე რეცენდენტს ეგზავნება პლაგიატი და მოეთხოვება დასკვნის დაწერა.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 16:08
დასრულების დრო: 16:37

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო" საგანამანთლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი კლასტერის ვადით, 2032 წლის 01 აგვისტომდე.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 -ე მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ზოგადი

განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო" პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია კლასტერის ვადით, 2032 წლის 01 აგვისტომდე.
დაწესებულების წარმომადგენელმა შუამდგომლობა დააყენა, რომ მიღებული გადაწყვეტილება ძალაში შესულიყო 2025 წლის 01 აგვისტოდან. საბჭომ ერთხმად დააკმაყოფილა აღნიშნული შუამდგომლობა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის "მასწავლებლის მომზადების" საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი კლასტერის ვადით, 2032 წლის 01 აგვისტო მდე.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 -ემუ ხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის "მასწავლებლის მომზადების" საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია კლასტერის ვადით, 2032 წლის 01 აგვისტომდე.
დაწესებულების წარმომადგენელმა შუამდგომლობა დააყენა, რომ მიღებული გადაწყვეტილება ძალაში შესულიყო 2025 წლის 01 აგვისტოდან. საბჭომ ერთხმად დააკმაყოფილა აღნიშნული შუამდგომლობა.

მეხუთე საკითხი: შპს თბილისის საერთაშორისო უნივერსიტეტ "აიიუთის" "ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: ფიზიკური მედიცინა და რეაბილიტაცია;
საფეხური: ბაკალავრიატი;
სწავლების ენა: ინგლისური;
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის ბაკალავრი;
კრედიტებისრაოდენობა: 240;
სტატუსი: ახალი;
დეტალური სფეროს კოდი: თერაპია და რეაბილიტაცია, 0915;

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ (ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეხუთე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
საერთაშორისო ექსპერტმა, იგორ პანტიჩიმ (Igor Pantić), უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გააცნო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახული რეკომენდაციები და შეფასებები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებ ები.
დაწესებულების რექტორმა, ვლადიმერ მკერვალიშვილმა, აღნიშნა, რომ რეკომენდაციების დიდ ნაწილს იზიარებდა, თუმცა იყო ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელზეც უკვე გაეცა არგუმენტირებულ პოზიციაში ექსპერტებს პასუხი.
ნინო კასრაძემ აღნიშნა, რომ პროგრამის მიზნები კონკრეტულად და მკაფიოდ იყო ასახული და ისინი თანხვედრაში იყო როგორც უნივერსიტეტის მიზნებთან, ისე მის ზოგად ხედვასთან და შრომის ბაზრის საერთაშორისო მოთხოვნებთან. ამასთან, სწავლის შედეგები დეტალურად იყო კურიკულუმში გაწერილი და შესაბამისობაშია პროგრამის სტრუქტურასთან. სახელმწიფოში ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის შესაბამისი დარგობრივი დოკუმენტი არ არსებობს და რა თქმა უნდა, მისი შემუშავების შემდეგ პროგრამა შესაბამისობაშია მოვა ყველა მოთხოვნებთან. მისი თქმით, შედეგები არის გაზომვადი და შეესაბამება "სმარტ" სტრუქტურულ მოდელს. სავალდებულო საგნებთან დაკავშირებით კი ხაზი გაუსვა, რომ ყველა საჭირო ინფორმაცია სხვადასახვა სილაბუსით იყო შევსებული. ასევე მიწოდებული იყო ყველა თემა, რაც სავალდებულოა სტუდენტისთვის ამ დარგში. სილაბუსების სტრუქტურა დამტკიცებულია უნივერსიტეტში, სადაც მოცემულია ლექცია-სემინარი. მან აღნიშნა, რომ თავად სილაბუსის განმახორციელებელი იღებდა გადაწყვეტილებას თუ რომელი სწავლების მეთოდი გამოეყენებინა ამა თუ იმ კვირაში. ისინი დეტალურად იყო გაწერილი სილაბუსებში.
ვლადიმერ მკერვალიშვილმა ბოლო რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ კოპენჰაგენის კოლეჯის საბაკალავრო პროგრამა აქვთ განხილული და არა უნივერსიტეტის. ეს იყო ტექნიკური შეცდომა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონიათ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 17:00
დასრულების დრო: 17:06

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

შპს თბილისის საერთაშორისო უნივერსიტეტ "აიიუთის" "ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის პირობითი აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 2027 წლის 31 დეკემბრამდე.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 16
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ბ” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-5 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის,მე-5 და მე-9 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^{2}მუხლის პირველი პუნქტის, 27^{5} - ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 276- ემუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს თბილისის საერთაშორისო უნივერსიტეტ "აიიუთის" "ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს პირობითი აკრედიტაცია 2027 წლის 31 დეკემბრამდე.
დაწესებულების წარმომადგენელმა შუამდგომლობა დააყენა, რომ მიღებული გადაწყვეტილება ძალაში შესულიყო 2025 წლის 01 აგვისტოდან. საბჭომ ერთხმად დააკმაყოფილა აღნიშნული შუამდგომლობა.

მეექვსე საკითხი: სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ბიოორგანული ქიმიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: ბიოორგანული ქიმია;
საფეხური: დოქტორანტურა;
სწავლების ენა: ქართული;
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ქიმიის დოქტორი;
კრედიტებისრაოდენობა: 60;
სტატუსი: პირობით აკრედიტებული;
დეტალური სფეროს კოდი: ქიმია 0531.

საგანმანათლებლოდაწესებულებისმიერსაბჭოსწევრ(ებ)ისაცილება
√ არა
საბჭოსწევრ(ებ)ისთვითაცილება
√ კი
თვითაცილება განაცხადა თამარ ზარანდიამ.
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეექვსე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტმა, ინგა ბოჭოიძემ, უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გააცნო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახული რეკომენდაციები და შეფასებები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
უნივერსიტეტის ხარისიხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, რომეო გალდავამ, აღნიშნა, რომ საერთაშორისო ექსპერტის მიერ აღნიშნული აღნიშნული მიგნებები უკვე გამოსწორებული იყო დაწესებულების მიერ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, ქეთევან აფთარაშვილმა აღნიშნა, რომ პროგრამაში დაშვების წინაპირობებში არ იყო მოთხოვნილი, რომ კანდიდანტს მეოთხოვებოდა კონკრეტულ სფეროში წინარე ნაშრომი/პუბლიკაცია ან პროექტი, ან არანაკლებ 2 წლიანი გამოცდილება. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მათ შეიმუშავეს დოკუმენტი, სადაც ეს ყველაფერი იყო ასახული.
საბჭოს წევრმა, ელიზბარ ელიზბარაშვილმა, კითხვით მიმართა დაწესებულებას. მას აინტერესებდა, ბიოქიმიის პროგრამისთვის რა ტიპის კვლევები ჰქონდა დაგეგმილი უნივერსიტეტს. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ინსტიტუცია ახორციელებდა სინთეზესს გოგირდის შემცველი ბიორგანული, სილიციუმის შემცველი, ბიოპოლიმერებით გამდიდრებული პროდუქტების.
ელიზბარ ელიზბრაშვილმა კითხვით მიმართა დაწესებულებას. მას აინტერესებდა, რა დანიშნულება ჰქონდა ავტორეფერატს.
რომეო გალდავამ აღნიშნა, რომ თუ საბჭოს წევრებს ან დაინტერესებულ მხარეებს მთლიანი დისერტაციის გაცნობის სურვილი ექნებოდათ, შეძლებდა მის გაზიარებას.
ელიზბარ ელიზბარაშვილს აინტერესებდა, მიეწოდებოდა თუ არა ანტიპლაგიატის პროგრამაზე შემოწმების შედეგები რეცენზენტს. .
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ამ პროცესში, რა თქმა უნდა, ჩართული იყო რეცენდენტიც.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 17:37
დასრულების დრო: 17:58

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ბიოორგანული ქიმიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი კლასტერის ვადით 2027 წლის 01 ივლისამდე, 1 წლისთავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 -ე მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 -ემუ ხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ბიოორგანული ქიმიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია კლასტერის ვადით 2027 წლის 01 ივლისამდე, 1 წლისთავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით. დაწესებულების წარმომადგენელმა შუამდგომლობა დააყენა, რომ მიღებული გადაწყვეტილება ძალაში შესულიყო 2025 წლის 01 აგვისტოდან. საბჭომ ერთხმად დააკმაყოფილა აღნიშნული შუამდგომლობა.

ყველა საკითხის განხილვის შემდეგ საბჭო დახურულად გამოცხადდა 2025 წლის 01 აგვისტოს 18:00 სთ-ზე.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭოს
მდივანი
კელიხაშვილი ვაჟა

საგანმნათლებლო პროგრამების აკრედიატციის საბჭო
თავმჯდომარე
ლევან შავაძე